ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლება სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

1990
სამშაბათი
25
დეკემბერი
№154 (10391)
ფასი 3 კაპ.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

**20 დეკემბერს** გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა.

სესიამ იმსჯელა კანონზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ და მიიღო იგი პირველი წაკითხვით, დაამტკიცა უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულება, უზენაესი საბჭოს სხდომების დროებით რეგლამენტში შეიტანა ცვლილება. ასევე შეიტანა ცვლილება და დამატება რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში, უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისია გარდაქმნა უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის მუდმივ კომისიად, იმსჯელა უზენაესი საბჭოს სამდივნოს აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ, განიხილა სხვა საკითხებიც.

სესიაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

## საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა გაიმართება 1990 წლის 27 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

სესიის დღის წესრიგში შემდეგი საკითხები:

1991 წლისათვის საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზი;

საქართველოს რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება და 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსი;

რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის თაობაზე.

რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების კანონი;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულება;

სასამართლო რეფორმა;

საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონი;

საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოყენების დებულება;

საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენების დებულება;

რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსში ცვლილების შეტანა (სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით);

სხვადასხვა.

## ერის არჩევანი

ამას წინათ საქართველოში ორი უპრეცედენტო მოვლენა აღინიშნა: ჩატარდა ეროვნული კონგრესი და უზენაესი საბჭოს დემოკრატიული, მრავალპარტიული (და ამდენად არასაბჭოური) არჩევნები.

ორივე არჩევნების შედეგები ცნობილია. უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ეროვნული კონგრესის არჩევნებმა საქართველოს მოსახლეობის ისეთი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა როგორც უზენაესმა საბჭომ. თვითონ კონგრესის ადეპტები ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ ქართველი ხალხი მოტყუებული ერია. ეს მეტად საეჭვო და თანაც შეურაცხმყოფელი განმარტებაა. სხვა თუ არაფერი, ეს ამცირებს მათ, როგორც პოლიტიკოსებს — თუ კი ქართველი ხალხი მართლა ბრბოა, ამას ისინი რაღა კონგრესის არჩევნების მერე მიხვდნენ, ადრევე ხომ უნდა სცოდნოდათ?

სინამდვილეში ქართველმა ხალხმა გონივრული არჩევანი გააკეთა, ხოლო კონგრესის წარუმატებლობის მიზეზები სხვაგან უნდა ვეძებოთ. თავიდათავი ის არის, რომ კონგრესის ადეპტებმა ვერ განმარტეს კონგრესის ფუნქცია. გულუბრყვილობაა იმისი მტკიცება, რომ თუკი კრემლი აძლევს საქართველოს უზენაეს საბჭოს მიიღოს ქართველი ხალხის ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილება, ეროვნული კონგრესი ამ ყრუ იმპერიას რამეს შეაჩვენებს, იყო სხვა მიზეზებიც. (ხალხის შიში ორხელისუფლებიანობისადმი, წინასაარჩევნო კამპანიის სისუსტე და ა. შ.). მაგრამ მეორე უმთავრესი მიზეზი იყო ის, რომ კონგრესის ადეპტთა შორის ვერ გამოჩნდა ისეთი ლიდერი, რომელიც „ლოკომოტივის" როლს შეასრულებდა (როგორც ეს ზვიად გამსახურდიას ავტორიტეტმა გააკეთა უზენაესი საბჭოს არჩევნებში).

მიუხედავად იმისა, რომ განუზომლად დიდი როლი მიუძღვით ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებაში ირაკლი წერეთელს, გიორგი ჭანტურიას, ირაკლი ბათიაშვილს, რუსლან მიქაბერიძეს, თამარ ჩხეიძეს და კიდევ მრავალ სხვას, მათი ავტორიტეტები არ აღმოჩნდა საკმარისი. ჩემი რწმენით, კონგრესს ბევრად უფრო მეტი ამომრჩეველი ეყოლებოდა, მის ადეპტებს ასე გულმოდგინედ რომ არ ელანძღათ ეროვნული მოძრაობის უდავო ლიდერი ზვიად გამსახურდია! სუკის აგენტი, პატარა ცაესი, ახალგამომცხვარი დიქტატორი, ტროას ცხენი ეროვნულ მოძრაობაში, ნაციონალ-ბოლშევიკი და ვინ უწყის კიდევ რა არ უწოდეს გუშინდელმა თანამებრძოლებმა და შეგირდებმა ეროვნული მოძრაობის თავკაცს. ამ ლანძღვა-გინებამ სულ საპირისპირო შედეგი გამოიღო: თვითონვე გადაიმტერეს მოსახლეობის ფართო ფენები, ხოლო ზვიად გამსახურდიას შემოუერთდნენ ისინიც კი, ვინც ადრე გულგრილი იყო ეროვნული მოძრაობისადმი.

ვინც თვალს ადევნებდა ფორუმისა და „მრგვალი მაგიდის" პოლემიკას პრესაში, დამეთანხმება, რომ ზვიად გამსახურდიასადმი წაყენებული ბრალდებები ერთობ ზედაპირული და არადამაჯერებელი იყო, ხოლო მათ გაბათილება-გაქარწყლებას სულ იოლად ახერხებდა მოწინააღმდეგე მხარე.

ასე თუ ისე, არჩეულია უზენაესი საბჭოც და ეროვნული კონგრესიც, მაგრამ სამწუხაროდ კონგრესის ადეპტებმა ვერ აპატიეს ვერც ზვიად გამსახურდიას და ვერც ქართველ ხალხს „მრგვალი მაგიდის" გამარჯვება უზენაესი საბჭოს არჩევნებში.

კონგრესი ცდილობს გამოჩხრიკოს თუ ერის ღალატი არა, მძიმე პოლიტიკური შეცდომა უზენაესი საბჭოს ყოველ გადაწყვეტილებაში. ამას არა აქვს არავითარი გამართლება. აუცილებელ ჭეშმარიტებად მიმაჩნია ბატონ ირაკლი შენგელაიას განცხადება, რომ პარლამენტს გარეთ დარჩენილი პოლიტიკური ძალები ოპოზიციაში კი არ უნდა ჩაუდგნენ უზენაეს საბჭოს, არამედ პირიქით, მხარში უნდა ამოუდგნენ მას, რათა ერთ პოლიტიკურ პარტიას, ან პიროვნებას არ დააწვეს მთელი პასუხისმგებლობა.

ოპოზიციონერები აცხადებენ, რომ რადიკალურ ოპოზიციას არ უნდა მიეღო უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ მოდით, ვიყოთ გულახდილნი რომ არა „მრგვალი მაგიდის" და მისი სპიკერის უდიდესი ძალისხმევა, ხომ აშკარაა, უზენაესი საბჭოს არჩევნები ისეთივე ფალსიფიცირებული იქნებოდა როგორც ყოველთვის აქამდე, ხოლო მთავრობა-ისეთივე მარიონეტული და ნაცარქექია. ზვიად გამსახურდიას უზარმაზარმა ავტორიტეტმა განაპირობა ეროვნული მოძრაობის ტრიუმფალური გამარჯვება. ამ პიროვნებას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ კომუნისტებს ხელიდან გამოვგლიჯეთ ის ხელისუფლება, რომელიც რუსული ხიშტის შეწევნით მიიტაცეს, 69 წლის განმავლობაში ეპყრათ და რაც მთავარია, გამოიყენეს მხოლოდ საკუთარი სამშობლოს გაჩანაგებისათვის.

რა თქმა უნდა, ზვიად გამსახურდიას გააჩნია პიროვნული ნაკლი, უდავოდ მძიმე ხასიათი აქვს. ძალიან მტკივნეულად განვიცადე მე პირადად ის, რომ მან, 9 აპრილის წლისთავისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ სტატიაში პირდაპირ პროვოკატორი და სუკის აგენტი უწოდა სამშობლოსათვის აღსრულებულ ცნობილ დისიდენტს, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, პოლიტიკოსი ზედმიწევნით ისეთია, როგორც დღევანდელ საქართველოს სჭირდება და მიმაჩნია, რომ განგებამ არ გასწირა საქართველო, მოუვლინა რა მას ისეთი ლიდერი, როგორიც არის ბატონი ზვიად გამსახურდია.

ცნობილმა სომეხმა დისიდენტმა ბატონმა პარუირ აირიკიანმა ამას წინათ „მოლოდიოჟ გრუზიისადმი" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ძირითად როლს თამაშობს პიროვნება, ერის ლიდერი, ხოლო ხალხი ალღოთი სცნობს მას და აღიარებს თავის ლიდერად. შესაძლოა პარუირ აირიკიანი საქართველოში დატრიალებულ ამბებს გულისხმობდა, რაც შეეხება ჩემი ერის ალღოს მე მჯერა მისი არჩევანისა. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ არც ახალი უზენაესი საბჭო, არც მისი თავმჯდომარე ქართველ ხალხს არ უღალატებენ.

დათო ჩარგაზია.

## სოფლის არენდატორები

**საზოგადოებრივი მეცხოველეობის** განვითარებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ინგირელ საკვებმომპოვებლებს, მხვნელ-მთესველებს თუ მექანიზატორებს. ყველას უნდა აწარმოოს მეტი რძე და ხორცი მცირე დანახარჯებით.

დროზე შეუდგნენ მზადებას ზამთრისათვის. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სიმინდი სასილოსედ და მწვანე საკვებად დაითესა 46 ჰექტარზე. სანიმუშოდ მოუარეს ნათესებს. უდანაკარგოდ აიღეს მოსავალი.

ტრანშეებში ჩადებულია გეგმიური 440 ტონა სასილოსე მასა. მოითიბა და დაზვინულ იქნა 100 ტონა ბალახი. უხვად მოიმარაგეს ჩალა. 9 ჰექტარზე უთესიათ ტურნეფსი, რომელიც პირუტყვს მწვანე საკვებად ეძლევა.

არენდატორები ლეილა ჯიჯელავა, კოტე გახარია და გივი ხუბულავა 50 ძროხას უვლიან. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ ზამთარში მაღალი წველადობის შესანარჩუნებლად.

# აგრარიკოსთა კიდევ ერთი გასაჭირი

„..ორი, ხუთი წლის წინათ, ენთუზიასტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა მიწათმოქმედთა ასოციაცია, რომელიც კარგად შეუდგა მუშაობას და ბევრი თანამდგომი და მხარდამჭერიც შემოიკრიბა.

ამის შემდეგ ენთუზიასტთა სხვა ჯგუფმა ჩათვალა, რომ საჭირო იყო შექმნილიყო მიწათმოქმედთა პარტია, ესეც შეიქმნა და შეუდგა მუშაობას: ცალკე ჯგუფი მიიჩნევს, რომ ახლა გლეხობას ძალიან უჭირს და გადაუდებელ საქმეს წარმოადგენს გლეხთა ასოციაციის შექმნა—ამ ასოციაციის წესდება და პროგრამა უკვე გამოქვეყნდა. მეცნიერთა და აგროსამრეწველო კომიტეტის სპეციალისტთა დიდი ნაწილი თავის მხრივ საჭიროდ მიიჩნევს, რომ უნდა ფუნქციონირებდეს საქართველოს აგრარიკოსთა კავშირიც და ისიც უკვე ჩამოყალიბდა. ამ კავშირის პროგრამა და წესდებაც შემუშავებულია, თითქოს ცალკე უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ საკმაოდ ფართო მასშტაბით მოიცავს აგრარული სექტორის განვითარების პრობლემებს მწვანეთა პარტიისა და მწვანეთა მოძრაობის (საზოგადოების), სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების, სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის და კიდევ სხვა კომისიათა საქმიანობაც.

ზოგიერთმა სოფლის მეურნეობის დარგის გასაჭირით შეწუხებულმა სპეციალისტმა იმსჯელა და მიიჩნია, რომ ესეც არაა საკმარისი. მოიწვია დამფუძნებელი კრება და... შეიქმნ. კიდევ ერთი ახალი კავშირი—აგრარულ— დემოკრატიული კავშირი. ამ მსჯელობას თუ კიდევ გავყვებით უნდა ვიგულისხმოთ, რომ შეიძლება ზოგიერთმა მიიჩნიოს, არც ესაა საკმარისი და აგრარულ სექტორში დაგროვილი წინააღმდეგობები რომ დავძლიოთ საჭიროა კიდევ რაიმე ახალი კავშირის, პარტიისა თუ ასოციაციის შექმნა. ვკითხოთ რამდენად სწორი და აუცილებელია ამ პროცესის ასე განვითარება? პირდაპირ უნდა ვთქვათ, არც მეტი, არც ნაკლები, ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტობრივად სოფლის გასაჭირი არავის აწუხებს და რომ იტყვიან, ერთი ალთასაა, მეორე ბალთას. თან ასეც გამოდის: სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო. თუმცა ღმერთმა ქნას, რომ ასე არ იყოს. გულახდილად ვიტყვი, ამაში დარწმუნების საფუძველი მაშინ მომეცემა, თუ ამ მრავალი კავშირისა და ასოციაციის ბაზაზე შეიქმნება ერთიანი, მძლავრი, ქმედითი, ყველასთვის მისაღები და მოსაწონი კავშირი, რომელიც დიდ საშვილიშვილო საქმეს ითავებს და თავსაც მოაბამს მას.

მაშ ასე, აგრარულ სფეროში მოღვაწე ყველა ასოციაციას, კავშირს, პარტიასა და ა. შ. მოვუწოდოთ გაერთიანდნენ და ერთობლივი ძალისხმევით იზრუნონ დაგროვილი პრობლემების გადასაწყვეტად, ეს პრობლემები კი ძალზე მწვავე და ბევრია. ახლა, იმის გამო, რომ ბოლოდროინდელ პუბლიკაციებში ბევრი სხვადასხვა და ერთმანეთის საპირისპირო აზრი გამოითქმება აგრარული სექტორის განვითარების პრობლემებზე. საჭიროდ მიმაჩნია ერთი კითხვა დავსვა და თან პასუხიც მივადევნო: პირად დამხმარე მეურნეობებთან ერთად გვჭირდება თუ არა გლეხური მეურნეობები? ამ კითხვის პასუხი მე საჯაროდ ადრეც განვაცხადე ერთ-ერთ პუბლიკაციაში და ახლაც ვიმეორებ: როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა გლეხური, ფერმერული მეურნეობები საჭირო და ზედმიწევნით მორგებულიც არის ჩვენი სპეციფიკური პირობებისათვის, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ არა ყველგან და უკიდეგანო მასშტაბით. ისე არ უნდა დაგვემართოს, რომ მოდას აყოლის მიზნით პრიორიტეტი მხოლოდ ასეთ მეურნეობებს მივცეთ და ჩრდილში დაგვრჩეს ამა თუ იმ კონკრეტული პირობებისათვის ყოველმხრივ მისაღები კოლექტიური მეურნეობები, იჯარული ურთიერთობანი, კოოპერატივები, ინტეგრირებული საწარმოები, ფირმები, კომბინატები და სხვა. მეურნეობრიობის ფორმების შერჩევისა და გამოყენებისას მზამზარეული რეცეპტები არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ისე არ უნდა დაგვემართოს, გადავყვეთ მეურნეობების დაწვრილერთეულებას და არ გავითვალისწინოთ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ბოლო წლების ის გამოცდილება, რომ აქ ფერმერული მეურნეობები ერთიანდებიან კოოპერატივებად და ამ გზამ დიდი წარმატებებიც მოუტანა მათ. ბუნებრივიცაა, წვრილწვრილ და დაქსაქსულ მეურნეობებში გაძნელებული და ხშირად განუხორციელებელიც რჩება ინტენსიური და ინდუსტრიული ტექნოლოგიის დანერგვა.

გლეხობას სიმართლე რომ ვუთხრათ ერთ განმარტებასაც გავაკეთებ. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ გლეხურ მეურნეობებს შეუზღუდავი უფლებები მივცეთ იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფოსაგან რახაც უნდა იყიდიან, მაგრამ წარმოებული პროდუქციიდან რადაც მინიმუმს გინდა მიყიდიან და გინდა არა სახელმწიფოს. კაცმა რომ თქვას, კარგია ასეთი ფუფუნება, მაგრამ ასეთი დრო ჯერ არ დაგვდგომია. ეკონომიკას თავისი ეტაპები გააჩნია და ერთიდან მეორეზე გადახტომას ვერც ჰგუობს და არც არავის აპატიებს.

გლეხურ მეურნეობას ხელის შეწყობა სჭირდება, მაგრამ საზოგადოებაც ხომ მოითხოვს თავის გარანტიებს. განსაკუთრებით სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით (რომლის მწვავე ნაკლებობასაც ახლა განიცდის იგი), ამიტომ ამ ხელის შეწყობას თავისი უკუგება სჭირდება. გლეხურმა მეურნეობამ არა მარტო პირადი, არამედ ეროვნული საქმეც უნდა აკეთოს, ჰქონდეს თავისუფალი ბაზარი, მაგრამ სახელშეკრულებო საფუძველზე რაღაც რაოდენობის (ეკონომიკურად დასაბუთებული—მიწით სარგებლობისა და სხვა რესურსებით უზრუნველყოფის პარამეტრების შესაბამისად) პროდუქცია სახელმწიფოსაც უნდა მიჰყიდოს ურთიერთგარანტიების ფარგლებში. ამჟამად გლეხურ მეურნეობათა საქმიანობაში ასეთი მიდგომა როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად მისაღები და გამართლებულია. ზოგი იკითხავს, მაგრამ ამდენს რომ ვლაპარაკობთ საბაზრო ეკონომიკაზე და თავისუფალ ბაზრობაზე, მათაც უნდა გაეცეს პასუხი? დიახ, ძალიან კარგი პრინციპი გააჩნია საბაზრო ეკონომიკას, მაგრამ ერთია სურვილი და მეორეა რეალობა. გულდასაწყვეტია, მაგრამ რა ვქნათ, ჩვენ საბაზრო ეკონომიკისათვის ჯერ მზად არ ვართ. მის მისაღწევად გარკვეული ეტაპის გავლა გვჭირდება. მანამდე კი შევთანხმდეთ, ერთის მხრივ სახელმწიფო შეუწყობს ხელს გლეხურ მეურნეობებს, მეორეს მხრივ კი თვით გლეხურმა მეურნეობებმაც იმის გარანტია უნდა იკისრონ, რომ დააკმაყოფილებენ სახელმწიფოს, ანუ საზოგადოების მხრიდან წაყენებულ მოთხოვნებს. გვინდა თუ არ გვინდა ეკონომიკის განვითარების დღევანდელი ეტაპი (ასე იქნება უახლოეს წლებშიც) ასეთ ორმხრივ მოთხოვნებს გვიყენებს, რასაც ეკონომიკური კანონის ძალა აქვს.

ომარ ქეშელაშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ჟურნალი „საზრისი“. № 19-20

## აკაკი წერეთელი — 150

# პატრიოტულ გრძნობებს აღვივებენ

ჩვენი ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ აკაკი წერეთლისათვის ხატივით სათაყვანებელი იყო სამშობლო. მის დიდებულ წარსულს არაერთი ნაწარმოები, მათ შორის პროზაული, მიუძღვნა ერის სამაყო მგოსანმა. თავის მოთხრობებში იგი წარმოაჩენდა ქართველი ხალხის დიდსულოვნებას, სიმამაცეს, მამულისათვის თავგანწირვას. ამ ოდინდელ ღირსებათა მინიშნებით შემოქმედი ესწრაფვოდა თანამედროვეთა გულებში პატრიოტული გრძნობების, ეროვნული მეობის გაღვივებას.

შაჰ-აბასის მძვინვარე ლაშქრის შედეგად კახეთის უმშვენიერესი მიდამო გაუერანდა, ზვრები გაუდაბურდა, სოფლები აოხრდა, მაგრამ სპარსეთის მბრძანებელმა მაინც ვერ შეძლო ქართველი ხალხის ნებისყოფის გატეხვა, რადგან საქართველოს ყოველთვის ჰყავდა ბიძინა ჩოლოყაშვილის თანა, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებისმაგვარი გმირი მამულიშვილები.

„სული—წმინდის მოფენის ღამეს, სანამ საცისკრო ზარის წკრიალი ქვეყნად გაისმოდეს. ზეცას ჩამოჰკრავენ ზარს და მაშინ ცა, გინდ მოღრუბლული იყოს, გადიყრის და გუნდ-გუნდი ვარსკვლავები თავს იჩენენ. ისინი არიან თურმე ჩვენი გმირი მამა-პაპების სულები. იჭედებიან იმ ადგილის პირდაპირ, სადაც უკანასკნელად მათი ღვაწლი დაგვირგვინებულა, და მაღლით ზედ სხივებს აყენებენ“ („ქუთათელის სიზმარი“).

წარსულშიც იყო პირადი შური და მტრობა, მაგრამ საქვეყნო საქმეების წინაშე ეს მანკიერებანი იჩრდილებოდა, უკანა პლანზე გადადიოდა და მტრის ერთობლივ სიძულვილში ერთიანდებოდა.

სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ ბიძა-დისწულს უეცრად ლეკები დაესხნენ თავს. მძინარე დისწულის გადასარჩენად მოხუცმა დათუნამ თოფი მოიმარჯვა, შურისძიება დაივიწყა და მომხდურისაგან იხსნა ივანე კვატაშვილი, რომელიც ბოლოს მუხლებზე დაეცა სამართლიანად გაბრაზებული აღმზრდელის წინაშე. მათ ორივეს სწამდათ, რომ „სანამ გარეშე მტერი არ მოგვიგერიებია, შინაური მტრობა არჯულის უარისყოფაა“. მწერალი კი იქვე სამდურავნარევი ტონით კითხულობს: „ნეტავ თუ ახლანდელი ქართველებიც ასე დასთმობენ პირად უსიამოვნებას და განხეთქილებას საზოგადო საქმისათვის“ („დათუნა გოცირიძე“).

ელიზბარ ერისთავი ტყუილად შემოსწყრა ერთგულ კორინთელს („კორინთელი“). ასევე როსტომ რაჭის ერისთავმა სხვათა ავი შეგონებით თვალები დასთხარა ერთგულ ჯაფარიძეს. იქამდე ვერ მიხვდნენ ამ მავნე, უხეშ შეცდომებს, ვიდრე ხალხისაგან თვითონაც არ გაიწირნენ. „მანამდე მე ყველაფერს ვუმზერდი და ვერასა ვხედავდი!—ამბობს უსინათლო როსტომ ერისთავი, ყურს ვუგდებდი და არა მესმოდა რა!... მაშინ კი პირველად გავახილე გონების თვალი, ჩავიხედე ჩემს გულში და ყოველივე დავინახე. მედიდურობით გაბოროტებული, თურმე ჯოჯოხეთის მონა ვიყავი და ახლა კი ქრისტეს ვემსახურებიო“.

პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი, გულისა და გონების სალესი მოთხრობები ბევრი უწერია ჩვენს სასიქადულო მწერალს. მათი პათოსი და შემეცნებითი ღირებულება დღევანდელ ჩვენს თაობას, მის სალხენსა და ხატკივარსაც ეხმიანება. ამიტომაა დიდი აკაკის მემკვიდრეობა ჩვენთვის ძვირფასი.

მასალები შეკრიბა ა. ალანიამ.

## ახალი წიგნები

# „აკაკი პატარა საქართველოა“

გამომცემლობა „განათლებამ“ დასტამბა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის გივი მეფისაშვილის 172 გვერდიანი წიგნი „აკაკი პატარა საქართველოა“.

წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ: „აკაკის უზადო ნიჭით გაბრწყინებული ქართული პოეზია მრავალმხრივ საყურადღებო პუბლიცისტურ-კრიტიკული ნააზრევი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გამოხატავდეს ჩვენი ზნეობრივი ძალების წინამძღოლი —მწერლობა ხალხის ინტერესებს“.

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის გივი მეფისაშვილის წიგნში, რომელიც აკაკის შემოქმედებისა და საზოგადო მოღვაწეობისადმია მიძღვნილი, ყველა პრობლემატური საკითხი ეროვნული გადასახედიდანაა წარმოჩენილი.

სავსებით ბუნებრივია, რომ იაკობ გოგებაშვილმა ყველა ჩვენთაგანის გულისთქმა გამოხატა სამი სიტყვით: „აკაკი პატარა საქართველოა“.

„მკითხველები,—წერს ავტორი, —ზოგჯერ ჭირვეულნი არიან. ზოგიერთი პოეტის გაცნობას ისინი სახელისა და გვარის წაკითხვით ამთავრებენ, ზოგიერთისას კი...

ამაში გასაოცარი არაფერია. სახელს ხომ მაგიური გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანზე. იგი გიპყრობს, გიზიდავს, გაიძულებს სხვაგვარად იაზროვნო, სხვაგვარად ჩაუფიქრდე ერთხელ უკვე განცდილ—გააზრებულს, აღარ გაკმაყოფილებს მხოლოდ ის, რაც ამა თუ იმ ავტორის ნაწერებიდან შეიცანი. ცდილობ უფრო ღრმად შეაღწიო ამ მომაჯადოებელ წრეში, რომ სინათლის შუქი მოჰფინო შემოქმედის გიგანტურ ფიგურას, გაიგო მის შესახებ ყველაფერი, თუნდაც უმნიშვნელო, ცხოვრებისეული წვრილმანი.

დიახ, პოეტის სახელს მაგიური ზემოქმედების უნარი გააჩნია.

ჭეშმარიტად ბედნიერია ქართველი ერი, რომ მრავალი ასეთი სახელი გამოაბრწყინა პოეზიის ცისკიდურზე, სახელი, რომელიც უგვაროდ სახელობს.

ვამბობთ შოთა..

ვაჟა..

ილია..

გალაკტიონი...

ვამბობთ და ბავშვმაც კი იცის ვინ იგულისხმება ამ სახელების მიღმა.

ამ ბრწყინვალე სახელების კრებულში საკუთარი, თვითმყოფადი, გამორჩეული ადგილი უჭირავს აკაკის—ადამიანს, რომელიც სიცოცხლეშივე იქცა პოეზიის ლეგენდად, ადამიანს, რომელიც დაიბადა პოეტად და პოეტად აღესრულა, მაგრამ ქართველი ხალხისათვის ის არ იყო მხოლოდ პოეტი“.

წიგნი, რომლის რედაქტორია [illegible] გელაშვილი უკვე მიიღო ქართველმა მკითხველმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# მკითხველის პოზიციიდან დანახული

ამთავითვე უნდა გითხრათ, რომ მე, თქვენი მონა-მორჩილი, გაზეთ „ოდიშის" თანამშრომელი გახლავართ. პრესის მსახურს კი, ბუნებრივია, უფრო მიუწვდება ხელი კალამზე და სათქმელის საძებრად ჯიბეების ბევრი ქექვა არ სჭირდება, არც ის—ბუზი სპილოდ წარმოაჩინოს, მგელი — უწყინარ კრავად. მაგრამ ამჯერად არა ჟურნალისტის, არამედ მოქალაქის, გაზეთის რიგითი მკითხველის თვალით მინდა ავწონ-დავწონო ერთი საკმაოდ გახმაურებული ფაქტი.

მაშ ასე, მე —მკითხველი, ხელში ვიღებ გაზეთ „ოდიშის" 22 სექტემბრის ნომერს, მოხერხებულად ვირგებ სათვალეს და ვიწყებ ზუგდიდური ამბების გაცნობას. მესამე გვერდზე ვაწყდები ნ. დარასელიას წერილ-რეპლიკას „დულს და გადმოდულს"... „აბა, ვნახოთ რა დულს და გადმოდულს",— ვამბობ გულში და ვიწყებ კითხვას: „კოოპერატივების ფართოდ დანერგვამ ბევრ დადებითთან ერთად უარყოფითი მომენტებიც წარმოშვა. ჯანსაღ კოოპერატიულ მოძრაობას ჩრდილს აყენებს ზოგიერთი ფსევდოკოოპერატორი, რომელსაც ამ სიახლემ სპეკულაციისაკენ უბიძგა, ხელფეხი გაუხსნა იოლი გზით გამდიდრებისაკენ. აბა სხვას რას უნდა მივაწეროთ ასეთი ფაქტი: ქალაქის ცენტრში, კავშირგაბმულობის შენობის გვერდით მდებარე კიოსკში, რომელსაც „საყვავილე" აწერია, ყვავილების მაგივრად იყიდება ერევნის გამოშვების ფეხსაცმელები, რომელთა ძირებზე ფასი აღნიშნულია და ნაცვლად 85 მანეთისა (კოოპერატივის საბაბით) 90 მანეთად სთავაზობენ მუშტრებს...

პირდაპირ გასაკვირია, როდემდე შეიძლება ამ უმსგავსობათა მოთმენა? რატომ დუმს მუშათა კონტროლი, საითკენ იყურებიან მილიციის შესაბამისი სამსახურის მუშაკები, სახელმწიფო ვაჭრობის მესვეურნი?

ხალხი კი ელის გადამჭრელი ზომების მიღებას, ელის წესრიგს".

ჩათავდა წერილი და „რას ერჩი, სწორია ეს მოქალაქე-მეთქი",—გავიფიქრე რეპლიკის ავტორის მისამართით. ფასების აფხეკა-გადასწორება ხომ ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია, ვაჭრობის სისტემაში? თუმცა ვინ იცის, ეს მეთოდი იქნებ ახლა მისაღებია და გამართლებული?! ეჰ, ბევრი რამაა ჯერ კიდევ გაურკვეველი!..

მაგრამ ჩემს იმწუთიერ დაეჭვებას, გაზეთის მკითხველს რომ გამიჩნდა, ნათელი მოჰფინა 2 ოქტომბერს „ოდიშის" მეორე გვერდზე გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ: „მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება". ინფორმაციის ავტორი, შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი, ბატონი ი. ფიფია გვაუწყებს:

„მიმდინარე წლის 22 სექტემბერს გაზეთ „ოდიშში" გამოქვეყნდა კრიტიკული კორესპონდენცია „დულს და გადმოდულს", რომელიც ამხელდა ცენტრალური ფოსტის გვერდით მდებარე საყვავილე კოოპერატივის ჯიხურში მომუშავე გამყიდველს სპეკულაციაში.

შემოწმების შედეგად წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. გამყიდველი, რომელსაც ევალებოდა გაეყიდა დანიშნულებისამებრ კოოპერატივის ყვავილები, ყიდდა სხვადასხვა დასახელების მამაკაცისა და ბავშვის პერანგებს, სამამულო წარმოების ფეხსაცმელებს სპეკულანტურ ფასებში, რაც ჩვენს მიერ მხილებულ იქნა. ამჟამად საქმეზე მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება".

ამ ინფორმაციამ ჩემში რა რეაქცია გამოიწვია? აღმაფრთოვანა-მეთქი, ვერ ვიტყვი. პირიქით, როგორც იტყვიან, გული დამწყდა. შემეცოდა გამყიდველი, რომელსაც არამართლზომიერი ფაქტი დაუდასტურდა და შესაბამისად, ალბათ, გარკვეული პასუხისმგებლობაც დაეკისრებოდა...

ასეა თუ ისე, ჯიხური „წალკოტი" რამდენიმე დღეს გამოკეტილი გახლდათ. მერე, ერთ მშვენიერ დღეს, ისევ გაიღო საყვავილეს შემინული სარკმელი და... კვლავ გაჩაღდა ვაჭრობა ფეხსაცმელებით, ქალის ჩექმებით, პერანგებითა და სხვა სამრეწველო საქონლით.

სხვისი არ ვიცი და მე პირადად გაოცებული ვარ იმ შეუსაბამობისა და პარადოქსულობის გამო, რომელსაც შეიცავს ი. ფიფიას ინფორმაცია. თუკი „შემოწმების შედეგად წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა" და გამყიდველი „სხვადასხვა დასახელების მამაკაცისა და ბავშვის პერანგებს, სამამულო წარმოების ფეხსაცმელებს სპეკულანტურ ფასებში ჰყიდდა",— რა შედეგი მოჰყვა ყოველივე ამას? რატომ გახდა იგივე მოქმედება ლეგალიზებული იმავე ჯიხურში შემდგომ და, როგორ, ვინ უნდა დამარწმუნოს, რომ ახლა იქ ფასმომატებით არაფერს ჰყიდიან? გარეგნულად, თვისობრივად არაფერი შეცვლილა აღნიშნულ ჯიხურში, ხოლო „წინასწარმა გამოძიებამ" თუ რა სურათი გამოკვეთა საბოლოო —ჩემთვის, რიგითი მკითხველისათვის, უცნობია და კარგი იქნება ბატონი ი. ფიფია ნათელს მოჰფენდეს "წალკოტთან" დაკავშირებულ ბუნდოვან საკითხებს.

ჯ. არქანია.

# გვექნება ცხენსაშენი ქარხანა

მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს გაზეთ „ოდიშში" გამოქვეყნებულ წერილზე „ვინ შეკაზმავს ცხენს", რომელიც ეხებოდა სოფელ ანაკლიის ტერიტორიაზე მეგრული ჯიშის ცხენსაშენის შესაქმნელად საჭირო მიწის ფართობის გამოყოფას და სათანადო დახმარების საკითხებს, გაცნობებთ შემდეგს:

ზუგდიდში ცხენსაშენის გახსნის აუცილებლობის შესახებ საკითხი დროულად, სწორად არის დასმული.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა მიმდინარე წლის 14 დეკემბერს ამ საკითხისადმი სპეციალურად მიძღვნილ თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ ცხენსაშენის გახსნის ინიციატორი გ. შეეია, სპორტკომიტეტისა და სპორტკომპლექსის ხელმძღვანელი მუშაკები, ერგეტისა და ანაკლიის მეურნეობების თავკაცები, განხილულ იქნა პრობლემები, რომლებიც ზემოთ დასახელებულ პუბლიკაციაშია დასმული.

თათბირზე ითქვა, რომ მეგრული ჯიშის ცხენსაშენის მოწყობა, ეს აუცილებელი და საშვილიშვილო საქმეა. მაგრამ ამჟამად ორგანიზაციებსა და ინდივიდებზე მიწის გამოყოფის საკითხი მიწის შესახებ ახალი კანონის მიღებამდე დროებით შეჩერებულია.

ამასთან გ. შეეიას რჩევა მიეცა დაინტერესებულ პირებთან ერთად დაათვალიერონ მარნეულის რაიონის ყულარის ცხენსაშენი ქარხანა და მის მაგალითზე გაეცნონ ცხენსაშენის გახსნის ორგანიზაციულ საკითხებს, სპეციალისტთა მონაწილეობით გააკეთონ სათანადო გაანგარიშებები და დოკუმენტაცია.

რაისაბჭოს აღმასკომი ყოველმხრივ მხარს დაუჭერს და ხელს შეუწყობს მეგრული ჯიშის ცხენსაშენი არსენ[?] [illegible] და მისთვის საჭირო ტერიტორიის გამოყოფას მიწის ახალი კანონის მიღების შემდეგ.

ი. ქუთალია,

სახალხო დეპუტატთა ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

## გაზეთებიდან

# თავი დაიზღვია

სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭომ დაავალა შინაგან საქმეთა სამმართველოს დაიწყოს სვერდლოვსკში სტუმრად ჩამოსული ცნობილი მოქანდაკის ერნსტ ნეიზვესტნის სიცოცხლის დაცვა. ეს მოხდება მისი თხოვნით და, რა თქმა უნდა, მის იგივე ხარჯით.

მოქანდაკე ვალდებულია პლასტიკურად დაასრულოს ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალის მოდელი.

აქ ყველის პირზე აკერია ტრაგიკული შემთხვევები, რომლებიც უკავშირდება ცალკეული პირების გაუნელებელ ჟინს, ხელთ იგდონ საზღვარგარეთელი სტუმრების ვალუტა. მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული მოქანდაკის სახელი, რასაკვირველია თანამემამულეთა ყურადღებას იქცევს. ერთხელ, ემიგრაციის შემდეგ სამშობლოში პირველად ჩამოსვლისას ხელოვანი სასტუმროში სერიოზულად იქნა გაქურდული.

„კომსომოლსკაია პრავდა",
15. 12. 1990 წ.

## უცხოეთის პრესის ფურცლებზე

# რას ფიქრობს ზბიგნევ ბჟეზინსკი

„..დემოკრატიული თვითგამორკვევის პროცესისადმი მხარდაჭერა საჭიროა თუნდაც იმის გამო, რომ დავეხმაროთ თვით გორბაჩოვს. მის მიერ გამოცხადებულ მიზანს წარმოადგენს სსრ კავშირის დემოკრატიზაცია, თუ მან ეს გამოაცხადა სერიოზულად და გულწრფელად, მაშინ იგი უნდა ნიშნავდეს საბჭოთა სისტემის პლურალიზაციას. ჭეშმარიტი პლურალიზმი კი თავის მხრივ უნდა აქეზებდეს იმათ თვითდამკვიდრებას, რომლებიც აქამდე ეროვნულ ნიადაგზე მოიწოლინებენ. ბუნებრივია, არ არსებობს არავითარი წინააღმდეგობა გორბაჩოვისადმი თანაგრძნობასა და იმ ძალებისადმი მხარდაჭერას შორის, რომლებიც მიელტვიან დემოკრატიულ თვითგამორკვევას.

.. რას უნდა ითვალისწინებდეს მხარდაჭერის პოლიტიკა დემოკრატიული თვითგამორკვევისადმი?

ჯერ ერთი, ეს უნდა ნიშნავდეს არა მხოლოდ პირდაპირ კონტაქტებს გორბაჩოვთან და მისთვის დახმარებას, რასაც ის ნამდვილად იმსახურებს. მან ხომ ისტორიული როლი ითამაშა, გაუხსნა რა კარები საბჭოთა კავშირს გარდაქმნებისათვის. იმავდროულად, დახმარების აღმოჩენა სჭირდებათ იმ ძალებს, რომლებიც სათავეში უდგანან დემოკრატიულ მოძრაობებს ცალკეულ საკვანძო ქალაქებში. ამ მხრივ მხედველობაში გვაქვს მოსკოვი, ლენინგრადი, ლვოვი, ტალინი, ვილნიუსი, თბილისი, ერევანი და სხვა. ამერიკელებს ნამდვილად ძალუძთ დაამყარონ უშუალო კონტაქტები ამ ქალაქებთან. რა თქმა უნდა, ეს გულისხმობს საქმიან ურთიერთობებსაც. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ქვემოდან პლურალიზმის განვითარებას.

მეორეს მხრივ ამით ხელი შეეწყობა იმ რესპუბლიკებთან ურთიერთობის გაფართოებას, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ საშინაო დემოკრატიზაციას რესპუბლიკის დონეზე.

მაგალითად, ბორის ელცინი წინააღმდეგი გამოვიდა გორბაჩოვის პოლიტიკისა, რომელიც ითვალისწინებდა ლიტველების დაჩოქებას ეკონომიკური ბლოკადის სახით. ამას გარდა, მან წამოიწყო უფრო მყარი დემოკრატიზაცია, ვინემ გორბაჩოვმა. ელცინის ხელმძღვანელობით ნიჭიერი და შრომისმოყვარე რუსი ხალხი, სტალინიზმის საშინელებათა თავის ზურგზე გადამტანი, თავისი ხანგრძლივი და მძიმე ისტორიის მანძილზე პირველად იცნობიერებს, რომ იმპერია—ეს სიკეთე კი არ არის, არამედ წყევლა.

ელცინთან კონტაქტების დამყარება საჭიროა იმ დონეზე, რაც მიზანშეწონილია საერთოდ ამერიკისათვის. ამერიკის შეერთებული შტატები უნდა დაეხმაროს მას თავისი პროგრამის განხორციელებაში. საზოგადოდ რუსეთის ხელისუფლებასთან ისეთ დამოკიდებულებას უნდა ვიჩენდეთ, რომელიც ამ უკანასკნელის პოზიციას და პოლიტიკურ პრესტიჟს გაამტკიცებდა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აგრეთვე უნდა გააფართოონ თავიანთი ურთიერთობა იმ საბჭოთა რესპუბლიკებთან, რომლებიც თანდათან ამკვიდრებენ საკუთარ დამოუკიდებლობას. ეს უნდა მოხერხდეს კერძო საკონსულო ვიზიტების, აგრეთვე კონგრესის დელეგაციების მეშვეობით, ამასთან ყოველნაირად უნდა იქნას წახალისებული კერძო კომპანიების ინვესტიციები აღნიშნულ რესპუბლიკებში.

შესაძლებლობის ფარგლებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეკონომიკური დახმარება და ტექნიკური კონსულტაციები უნდა აღმოუჩინონ ეროვნულ რესპუბლიკებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც მზადაა გადავიდნენ საბაზრო ეკონომიკაზე. თუ გავითვალისწინებთ იმ ქაოსს, რომელიც დღეს მოსკოვში სუფევს, გაცილებით უფრო სტაბილური ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება შესაძლებელია რესპუბლიკების დონეზე, ვინემ დაშლის პირას მისულ ცენტრალურ ბიუროკრატიასთან. ამერიკის კომპანიებმა უნდა შეიგნონ, რომ საბაზრო ეკონომიკას აყვავების შანსი უფრო ეროვნული რესპუბლიკების დონეზე აქვს, ვინემ ცენტრში. და ამის მიზეზი ისიცაა, რომ კულტურული ტრადიციების მიხედვით რუსები ფაქტიურად თავისუფალი მეწარმეობის წინააღმდეგნი არიან.

ნაწყვეტი მიმდინარე წლის №49 „ზა რუბეჟომში" დაბეჭდილი მასალისა სათაურით: „როგორ ავაგოთ ამერიკის პოლიტიკა სსრ კავშირთან მიმართებაში?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ი ვ ბ ა ძ ო თ

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში უყაირათობა რომაა გამეფებული, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. თითქმის მთლიანად მივიწყებულია მეორადი ნედლეულის წარმოების საქმე. ის, რისი გამოყენებაც სარგებლობას მოგვიტანდა, ნაგავსაყრელებში ლაგდება, ან იწვება.

ცნობილია, რომ იაპონია მეორად ნედლეულზე აწარმოებს პროდუქციის თითქმის 50 პროცენტს. ცხადია, ჩვენ ამ დონეს ვერ გავუტოლდებით, მაგრამ ხომ უნდა მივბაძოთ განვითარებულ საზოგადოებებს, ხომ უნდა ვისწრაფოდეთ იქითკენ.

დროა, ვისწავლოთ ყაირათიანობა, ნუ ვართ შემყურე იმისა, რასაც გარედან მოგვაწვდიან. დღეს ისეთი დრო დადგა, რომ თითოეული ადამიანის ხელშია როგორც პირადი, ასევე ქვეყნის ბედნიერება.

მკითხველის ყურადღება კონკრეტულად მინდა გავამახვილო მაკულატურისა და ნახმარი ქსოვილების გამოყენების აუცილებლობაზე. ეს დიდძალ ეკონომიას მოგვცემს.

რამ აუცრუა ხალხს მათ დამზადებაზე გული? მე ვუპასუხებდი, რომ ხშირად და ყველაფერში ზემოდან დაგეგმილმა ნორმამ. ვთქვათ რომელიმე რაიონს განსაზღვრული გეგმა ჰქონდა მაკულატურის დამზადების. იმას რომ შეასრულებდა, დანარჩენის შეგროვებაზე თავს არავინ იტკიებდა და იგი ფაქტიურად ნადგურდებოდა. ხოლო თუ ვერ შეასრულებდა, ხდებოდა მიწერები, რაც მ ვანთა ჯიბის გასქელებას ემსახურებოდა.

ჩემი აზრით, ამ საქმეში უნდა გამოირიცხოს გეგმა, ხოლო მოქალაქეები აუცილებლად უნდა დავაინტერესოთ მატერიალურად.

მეორადი ნედლეულის ყაირათიანი მოხმარება ხელს შეუწყობს ქალაქში სისუფთავის დაცვას, ლაეტყობა მოქალაქის ეკონომიკას, ასევე სახელმწიფოს ეკონომიკას.

არჩევანი თქვენზეა, მოქალაქენო. გამოიჩინეთ ინიციატივა და მოგროვილი მაკულატურა ჩააბარეთ მიმღებ ორგანიზაციას.

დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ მოგვმართოთ ტელეფონით: 2—23—12 ან 8—10—45.

ზაზა ალფენიძე,
სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შექმნილი ეკოლოგიური კომისიის წევრი.

## წესრიგი გზებსა და გზაჯვარედინებზე

# რა ხდება, რაშია საქმე?!

ჩემი მრავალწლიანი, ავტოინსპექტორის პრაქტიკული საქმიანობა-გამოცდილებიდან გამომდინარე შემიძლია განვაცხადო, რომ მძღოლთა უმეტესი ნაწილი უგულებელყოფს ქუჩაზე მოძრაობის წესებს, რაც, სამწუხაროდ, ხშირად მთავრდება გამოუსწორებელი შეცდომით.

რა ხდება, რაშია საქმე? რატომ დავკარგეთ ერთმანეთის მიმართ პატივისცემა, როცა გზაჯვარედინზე წინ მდგომ ავტომანქანებს მოულოდნელად ვუსწრებთ და ასე აშკარად ვახდენთ თავხედობის დემონსტრირებას... უფრო მეტიც, ნაბახუსევნი ჭყვირალა საყვირებით დააჭენებენ ავტომანქანას ქალაქის ქუჩებში. თქვენ ალბათ, იტყვით: მეტი რა საქმე გაქვთ ავტოინსპექციის მუშაკებს, გამოავლინეთ დამნაშავე მძღოლები. სწორი ბრძანებაა, მაგრამ რამდენს გამოავლენ?! ზუგდიდში ათასობით ავტომანქანა დადის, რომელთა მძღოლები (მცირე გამონაკლისის გარდა) არ ერიდებიან საგზაო ნიშნებს, შუქნიშნებს და არც სიჩქარეს. ჩვენ კი, ავტოინსპექციის მუშაკები, ცოტანი ვართ, ყველას სათითაოდ ვერ გავაფრთხილებთ. ან, წესით და რიგით, რად უნდა სჭირდებოდეს სრულწლოვან ადამიანს იმის ჩიჩინი, როგორ იმოძრაოს გზებზე. მან ხომ გაიარა სპეციალური კურსები და გაჩნია მართვის უფლება?!

გულსატკენია, რომ ზოგჯერ მოძრაობის წესების დამრღვევთა შორის აღმოჩნდებიან ისინი, ვინც თავად უნდა იცავდეს წესრიგს. მავანნი და მავანნი შენიშვნის მიცემას თაკილობენ, თუ მართვის მოწმობა მოთხოვე — მუშტის ტრიალსაც არ ერიდებიან. იმას კი არ ფიქრობენ, რომ მათ წინ დგას ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ წესრიგს მოითხოვს.

ძვირფასო, მეგობრებო, ვცეთ ერთმანეთს პატივი, დავიცვათ ქუჩაში მოძრაობის წესები, ნუ ავჩქარდებით, არ მივუსხდეთ საჭეს ნასვამნი, გავუფრთხილდეთ ერთმანეთის სიცოცხლეს!

ფ. კიღაია,
შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების სახავტოინსპექციის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.

## მზრუნველობას ვგრძნობთ

ზუგდიდის სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში (მთავარი ექიმი ბ. აბრამია), განსაკუთრებული მადლიერებით არიან მოსილნი უფროსი თაობის ადამიანები. აქ მოხვედრილი ხანდაზმული, აუცილებლად იგრძნობს ზრუნვას, ყურადღებას.

მუდამ ხალხმრავლობაა კბილის ტექნიკოსთან — ლია მოლაშხიასთან, რომელიც აქ ორმოცდაათ წელზე მეტია მუშაობს. იგი გულმოდგინედ ემსახურება პაციენტებს. მისი ნახელავი მაღალკვალიფიციურია და საიმედოობით გამოირჩევა.

ზ. ახვლედიანი,
პენსიონერი.

## საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე

სოფელ კახათში სათანადო ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეს. აქაურ მაცხოვრებელთა მოთხოვნაც ეგაა — მდიდარი შრომითი ტრადიციების სოფელში სიმშვიდე და წესრიგი სუფევდეს.

კახათის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოსთან (თავმჯდომარე აბესალომ შამახია), ამ დღეებში შეიქმნა სოფლად საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორი შტაბი. ერთი თვით სოფლის ცენტრში, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევს გივი გუგუჩია და მეორე ქვემო კახათის ცენტრში, რომელსაც გაუძღვება ჟორჟი ფიფია.

ამასწინათ სოფლის ცენტრში მოეწყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისადმი მიძღვნილი გაფართოებული თათბირი. მას შინაგან საქმეთა ზუგდიდის განყოფილების უფროსის მოადგილე ვახტანგ იზორია და უბნის რწმუნებული ნიკო ქავთარაძეც ესწრებოდნენ. დაისახა სოფლად წესრიგის განმტკიცების ქმედითი ღონისძიებები. შტაბის წევრები საღამოს ცხრა საათიდან დილის ექვს საათამდე დააწესებენ მკაცრ კონტროლს ყოველგვარი სახის ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებზე.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ღონისძიებას კარგი შედეგები მოჰყვა. იმედია, დასახულ მიზანს ბოლომდე მიიყვანენ.

ვ. ჯღამაია, ჩვენი კორ.

## მოვუაროთ მშობლიურ ქალაქს

გაზეთ „ოდიშის" 6 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო კრიტიკული კორესპონდენციები: „კვლავ გულსატკენ ფაქტებზე" და „წაყრუებას ამჯობინებენ". პუბლიკაციების პასუხად ქალაქის საბინაო კომუნალური მეურნეობის კეთილმოწყობის კომბინატის უფროსი ვ. ჩარგაზია რედაქციას ატყობინებს შემდეგს:

საკოლმეურნეო ბაზრის წინ მიწისქვეშა გადასასვლელის კეთილმოწყობასა და მის განათებაზე სისტემატურად ვზრუნავთ, მაგრამ ჩვენი მცდელობა ამაოა, ვინაიდან გაიმოქალაქეები ამტვრევენ ნათურებს, ხსნიან ჩამხრახნს. რაც შეეხება წყლის დაგუბებას, იყო ასეთი შემთხვევა, მაგრამ ამჟამად წესრიგშია. წყალსაწრეტს სისტემატურად აკონტროლებს და ასუფთავებს დამლაგებელი.

ურნები კი, რომ წერთ გაქრაო, კი არ გაქრა, არამედ აღებულ იქნა იმ მოტივით, რომ შეცვლიდება. ამასთან სანაგვე ურნები ბევრგან მოიპარეს, ხოლო მის დამზადებას გარკვეული დრო სჭირდება.

ქალაქის განათების ლამპიონებს ამტვრევენ მავანნი და მავანნი. ვინ აკეთებს ამას? რა თქმა უნდა, ისევ ჩვენი მოქალაქეების ახალგაზრდების გარკვეული კატეგორია და არა სხვა რაიონიდან ჩამოსული. ეს კი სამარცხვინოა, ჩვენს ზუგდიდელობას არ ეკადრება. ყველამ, დიდმა თუ პატარამ, მოვუაროთ სახალხო ქონებას, ქალაქის იერსახეს, პატივი ვცეთ კეთილმოწყობის მუშაკთა შრომას.

## აბონენტებს შევახსენებთ!

კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიონული კვანძის ადმინისტრაცია შეახსენებს კერძო ტელეფონების მფლობელებს და წარმოების ხელმძღვანელებს, დროულად გადაიხადონ კავშირგაბმულობის საშუალებით მომსახურების თანხების დავალიანება.

გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, დაიწყება ტელეფონების გამორთვები და მათი ხელახლა ჩართვა გაჭიანურდება დიდი რაოდენობით გამორთვების გამო.

## ოწარმოებს მეანაბრეთა მოთხოვნილებისამებრ!

ზუგდიდის შემნახველი ბანკის განყოფილებასა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ფილიალებში დღემდე გახსნილი ვადიანი ანაბრების გადაფორმება ახალ გადიდებულ პროცენტულ განაკვეთებზე — 1 წელზე მეტი ვადით 8 წლამდე 5 პროცენტი წლიური მირიცხვით, 8 წელზე მეტი ვადით — 5 წლამდე — 7 პროცენტი წლიური მირიცხვით და 5 წელზე მეტი ვადით 9 პროცენტი წლიური მირიცხვით იწარმოებს მეანაბრეთა მოთხოვნისამებრ 1991 წლის 1 მაისამდე, ხოლო გადაფორმებულ ანაბრებს პროცენტები მიერიცხება 1990 წლის 1 ნოემბრიდან, მიუხედავად მათი გადაფორმების თარიღისა 1991 წლის 1 მაისამდე პერიოდში.

კ. ზუგდიდის შემნახველი ბანკის განყოფილება.

# ა. ძ. ჯგერენაია

ონარიის მეურნეობის კოლექტივს გამოაკლდა დამსახურებული აგროტექნიკოსი, სამამულო ომის აქტიური მონაწილე, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენისა და რამდენიმე მედლის კავალერი აპოლონ ძოკოს ძე ჯგერენაია.

იგი დაიბადა 1920 წელს ... ბის რაიონში. აქვე დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და მიიღო აგროტექნიკოსის წოდება.

ფაშისტურ გერმანიასთან ომის დაწყების პირველსავე დღეებში იგი გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიაში. იბრძოდა უკრაინის ფრონტებზე. იყო უკრაინის პარტიზანული დივიზიის აქტიური წევრი. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ა. ჯგერენაია დემობილიზებული უბრუნდება მშვიდობიან შემოქმედებით შრომას. 1949 წლამდე მუშაობდა კოლმეურნეობაში აგროტექნიკოსად, ხოლო შემდგომ წლებში იგი ონარიის მეურნეობის კოლექტივის აქტიური წევრია.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი ადამიანი, საუკეთესო სპეციალისტი და მეგობარი, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს შემორჩება კოლექტივს, ამხანაგებს, მეგობრებს.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
აკ. ფანტურია.

ვალუზა და ალეკო კვარაცხელიები შვილებით ზაზა და ანდროთი იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა
**ლევან რეზოს ძე მოლაშხია.**
პანაშვიდი 25, 26, 27, 28 დეკემბერს. დაკრძალვა 29 დეკემბერს 4 საათზე. გასვენება ქ. წალენჯიხა, კ. გამსახურდიას ქ. №3.

ლეილა, შუქრი ქირიები შვილებით: დათო, კახა იუწყებიან
**ჯამბულ გაბრიელის ძე შურღაიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ფოთში 29 დეკემბერს საბჭოს ქუჩა №8.

ფაიფურის ქარხნის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ბიქტორ ესართიას შვილიშვილის
**ჯონი ბორისის ძე ჯიქიას**
გარდაცვალების გამო.

ზუგდიდის №103 პროფტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი იუწყება
**ლამარა კაკოს ასულ შელიას**
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მზახალი ნელი, შვილი დოდო გარდავა, სიძე ანზორი აბსავა, შვილებით ანა, ნანა და ლადოთი იუწყებიან
**ტატაში იოსების ძე გარდავას**
გარდაცვალებას.

მეუღლე ლუცია როგავა, შვილები: დოდი, ნუგზარი. რძალი ლუარა სახურია, სიძეები შალვა გეგეჭკორი, ჯოდო გვაჯაია, ანზორი აბსავა. ცოლისდა თამარა როგავა, შვილიშვილები: ანა, ნანა, ლადო, გიორგი, ირაკლი, ძმისშვილები: ზეზე, ზაირა, ანატოლი, გულადი, დისშვილები: მიმოზა, ზაურ გეგეჭკორები, მამიდები: ვარდიშა, მარუსია, ბიცოლა ლოლა გარდავა, ბიძია გრიშა ცანავა. ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
**ტატაში იოსების ძე გარდავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27, 28 დეკემბერს. გამოსვენება 29 დეკემბერს. ქ. ზუგდიდი, დუტუ მეგრელის ქუჩა 15-დან 16 საათზე. დაკრძალვა სოფელ ოქტომბერში.

მესამე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობს მწუხარებაში კარლო თირქიას სიძის
**კოკი დამიანეს ძე ჯანაშიას**
გარდაცვალების გამო.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2 24 80, რედაქტორის მოადგილის — 2 33 59, პასუხისმგებელი მდივნის 2-81-96, სოფლის მეურნეობის განყოფილებისა 2-21-78 მშრომელთა წერილების 2 25 12 რადიორედაქციის 2 17 00

საქ. ბეჭდვახაკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000 შეკ. №5331